შეფასება ...../ 30 ქულა სახელი, გვარი .....

IX კლასი

დავალება I (10 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის ლექსი „ვიდრე ხარ“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

ვიდრე ხარ... ვიდრე გათოვს და გაწვიმს,
არ წარიკვეთო არასდროს სასო, [1]
ხან ოცდაათი ვერცხლი ღირს კაცი,
ხან ოცდაათი - ერთ ვერცხლად ფასობს.

მაგრამ იმედი, ეს უფლის ჩიტი,
კვლავ ისეთია, როგორიც იყო,
კვლავ ჭრელი კაბა აცვია ჩითის
და თხილისხელა გულს ყველას გვიყოფს.

არ ჩაიქნიო არასდროს ხელი,
ვიდრე ხარ... ვიდრე ხედავ და გესმის...
ძველს ცვლის ახალი, ახალს კი - ძველი
და ქვის მსროლელი ყვავილსაც გესვრის.

ხან ბროლის კოშკზე შემოგსვამს ბედი,
ხან გაბზრიალებს, ვით შოლტი ჩიკორს,[2]
მაგრამ ღიმილი და ცრემლის წვეთი
კვლავ იგივეა, რაც ადრე იყო.

---

1. სასო - იმედი
*2.*ჩიკორი - ბზრიალა

1
2

1.*(1 ქულა)* **თქვენი აზრით, რას შეიძლება გულისხმობდეს ავტორი სიტყვებში: „ვიდრე გათოვს და გაწვიმს“?**

_____

_____

2.*(1 ქულა)* **ამოიწერეთ ლექსიდან სიტყვები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ ცხოვრება ცვალებადია.**

_____

_____

3. *(2 ქულა)* **თქვენი აზრით, რატომ უწოდებს ავტორი იმედს „უფლის ჩიტს“? მის რომელ თვისებას გამოკვეთს ამით?**

_____

_____

_____

_____

_____

4. *(1 ქულა) რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ხაზგასმულ სიტყვებში:*

„ ხან ბროლის <u>კოშკზე შემოგსვამს ბედი.“</u> *(შემოხაზეთ სწორი პასუხი)*

ა. მეტაფორა. გ. ეპითეტი.

ბ. შედარება. დ. ალუზია.

5.*(1 ქულა) რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში:*

„ **ხან გაბზრიალებს, ვით შოლტი ჩიკორს.“** *(შემოხაზეთ სწორი პასუხი)*

ა. შედარება. გ. გაპიროვნება.

ბ. ეპითეტი. დ. ჰიპერბოლა.

5.*(4 ქულა)* **განმარტეთ, რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი და გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია.**

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

დავალება II (10 ქულა)

იპოვეთ და გაასწორეთ წინადადებებში დაშვებული შეცდომები:

1. მათ მეგობრებმა, დიდი შრომის მიუხედავად, მაინც ვერ მიაღწიეს მიზანს;
   _____
2. ეს ამ ფეხბურთელის ას მეხუთე მატჩია;
   _____
3. ბავშვებმა ტოროლის ბუდიდან ბარტყები ამოსხეს;
   _____
4. სანდრომ მეგობარს პირობის შესრულება მოთხოვა; _____
5. ცოტას დავისვენებ და მეცადინეობას გავნაგრძობ;
   _____
6. სად გინახია, სტუმრად მისული ადამიანი ასე იქცეოდეს?
   _____
7. სანამ სუფრასთან დაჯდებოდნენ, გიორგიმ ახალმოსული ყურადღებით შეათვალიერა;
   _____
8. ჩემს საბანკეტო კაბას ცნობილ დიზაინერს შევაკერიებ;
   _____
9. სუნთქვაშეკრული, შემკრთალი უცნობი ერთი და იგივეს იმეორებდა;
   _____
10. რამოდენიმე დღეში დავბრუნდები და ყველაფერს მოგიყვები;
    _____

არგუმენტირებული ესე (10 ქულა)

<u>მხატვრული ლიტერატურის კითხვა ადამიანს უკეთესს ხდის</u>

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას, ან უარყავით იგი

ჩამოაყალიბეთ საკითხისადმი თქვენი დამოკიდებულება ნათლად და მკაფიოდ. მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით. დაიცავით ენობრივი ნორმები. (გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ნაშრომი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები).